GOV 7 22 00023075

18/07/2022

საქართველოს ნოტარიუსთა პალატას

ასლი: ბ-ნ ნიკოლოზ ნიკოლაძეს
ელფოსტა: [redacted]

გეგზავნებათ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მ. წ. 15 ივლისს ელექტრონული ფოსტით შემოსული მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძის N22846 განცხადება.

საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი

ლევან ერიქაშვილი

საქართველოს ნოტარიუსთა პალატას

[redacted]

[redacted]

**განცხადება**

„ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის 11(2)-ე, 42-ე და 43-ე მუხლების, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31/03/2010 71 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 16-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1359-ე მუხლის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გათვალისწინებით, მომაწოდოთ საჯარო ინფორმაცია ან/და გამიწიოთ კონსულტაცია შემდეგზე:

1. საჯარო აქტების ჩამონათვალი;
2. საჯარო ან/და კერძო აქტების შესრულებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო ინსტრუქციები/ სამართლებრივი აქტები (www.notary.ge განთავსებული საკანონმდებლო ბაზის გარდა);
3. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში საჯარო აქტების (სანოტარო მოქმედებები) შესრულებისათვის იურისტის კვალიფიკაციის საჭიროების შესახებ;
4. საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში შესაბამისი თანამდებობის პირის მიერ ანდერძის დადასტურების/ გაუქმების უფლებამოსილების შესახებ.

აქვე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

a) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში მოთხოვნილი ინფორმაციის მოუწოდებლობის ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე, მეცნობოს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ერთეულის ან/და სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირთა შესახებ, რომელთა მიერაც განხილული იქნა ჩემი განცხადება (პერსონალური ინფორმაცია) და წარმოებული კონსულტაციის შედეგად მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება[1];

b) საჯარო ინფორმაციის მიღებისათვის მოსაკრებლის გასაზღვრის შემთხვევაში, შესაბამისი მეტყობინების განხორციელებასთან ერთად, მომეწოდოს საჯარო ინფორმაციის დამუშავებით გათვალისწინებული ელექტრონული მონაცემები ელ. ფოსტაზე[2] (მატერიალური ასლის მიღების მიზანშეწონილობა, მათი გაცემის შემდგომ იქნება გადაწყვეტილი).

02/06/2022

---

[1] სზაკ-ის 29-ე მუხლი, 40-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 41-ე მუხლი.

[2] საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.



## საჯარო ინფორმაციის მიღება

niko nikoladze <[redacted]

Thu 6/2/2022 5:46 AM

To: contact@notary.ge <contact@notary.ge>

1 attachments (209 KB)

სანოტარო კონსულტაცია (02062022).pdf;

გთხოვთ, მაცნობოთ რეგისტრაციის ნომერი